

ეკონომიკური დაიჯესტი

აპრილი, 2021



The
Margaret Thatcher
— Centre of Georgia —

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (IMF) 2021 წლისთვის საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი შეამცირა

IMF 2021 წელს საქართველოში ეკონომიკურ ზრდას 3.5%-მდე ამცირებს, ხოლო 2022 წელს 5.8%-იან ეკონომიკური ზრდას პროგნოზირებს. მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ეკონომიკა 8,3%-ით შემცირდა.

აღნიშნულის ფონზე ოპტიმისტურ სცენარს ინარჩუნებს საქართველოს მთავრობა, რომელიც ბიუჯეტის დამტკიცების პერიოდში პროგნოზირებულ 4.3%-იანი ეკონომიკურ ზრდას არ ცვლის.



მთავრობის გაზრდილი ბიუროკრატიული ხარჯები

მთავრობის გაზრდილი ბიუროკრატიული ხარჯები წლებია პრობლემას წარმოადგენს, გარდა იმისა, რომ აღნიშნული ხარჯები გადასახადის გადამხდელების ჯიბიდან ფინანსდება, ამას ხშირ შემთხვევებში ემატება არარაციონალური და გადამეტებული ხარჯვები.

2020 წელს სახელმწიფო რწმუნებულების 9 ადმინისტრაციამ საწვავზე 454 428 ლარი დახარჯა, ხოლო ავტოპარკის შეკეთებაზე - 270 017 ლარი. რაც შეეხება მუნიციპალური აიპ-ების და შპს-ების სახელფასო ფონდს 2020 წელს 390 მილიონ ლარს გადააჭარბა, ანალოგიური მაჩვენებელი 2019 წელს 200 მილიონ ლარამდე იყო. IDFI-ს ანგარიშის მიხედვით, მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების სახელფასო ფონდები ყოველწლიურად დაახლოებით 14%-ით, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 5%-ით იზრდება.



მოსახლეობის 60%-ის ფინანსური მდგომარეობა ბოლო 12 თვეში გაუარესდა

მომხმარებლის თავდაჯერებულობის ინდექსი 2021 წლის მარტში, წინა თვესთან შედარებით, 3.5 პუნქტით გაუარესდა.

მომხმარებლის თავდაჯერებულობის ინდექსი – CCI – მოსახლეობის განწყობებს, ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობას აფასებს. ინდექსი გამოკითხვით დგინდება, სადაც გამოკითხულები გასული 12 თვის ეკონომიკურ მდგომარეობას და მომავლის მიმართ განწყობებს აფიქსირებენ. კვლევა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა მოქალაქის პერსონალური ფინანსური მდგომარეობა, დანაზოგის გაკეთების უნარი, სამომხმარებლო ფასების ცვლილება, უმუშევრობის დონე და სხვა.

2021 წლის მარტში მომხმარებლის თავდაჯერებულობის ინდექსი -39-ის ნიშნულზე შეჩერდა, რაც წინა თვესთან შედარებით 3.5-პუნქტიან გაუარესებასა და ზოგადად, მკვეთრად გამოსატულ უარყოფით განწყობებს ასახავს.

კვლევის მთავარი მიგნება მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებელია. მარტში გამოკითხული მოსახლეობის 60%-ის ფინანსური მდგომარეობა, წინა 12 თვეში, მცირედად ან მკვეთრად გაუარესდა. ამას გარდა, გამოკითხულთა 84% მიიჩნევს, რომ ეკონომიკური სიტუაცია, ზოგადად ქვეყანაში, ბოლო 1 წლის მანძილზე მკვეთრად ან მცირედად გაუარესდა.

რაც შეეხება სამომხმარებლო ფასებს, გამოკითხულთა 85% მიიჩნევს, რომ სურსათისა და სერვისის ფასები, ბოლო 12 თვეში, გაიზარდა.



საქართველოს მთავრობამ ევრობონდების სახით \$500- მილიონიანი საგარეო ვალი აიღო

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ \$500-მილიონიანი ევრობონდების გამოშვების პროცესი დაასრულა. ახალი საგარეო ვალი 5-წლიანია და მისმა საპროცენტო განაკვეთმა 2.75% შეადგინა.

საქართველოს მთავრობამ ახალი ვალი ათი წლის წინ, 2011 წელს გამოშვებული \$500-მილიონიანი ევრობონდების დასაფარად აიღო.

ტრანზაქციის განხორციელებაში საქართველოს საერთაშორისო და ადგილობრივი საინვესტიციო ბანკები ეხმარებოდნენ, კერძოდ, JP Morgan, Goldman Sachs, ICBC Standard, TBC Capital და Galt & Taggart.




ხალი საგარეო ვალის საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით, ქვეყანას ყოველწლიურად 13.7 მილიონი ლოლარის გადახდა მოუწევს.

ლარის გაუფასურებასთან ერთად იზრდება დასაფარი ვალის ძირი თანხის ღირებულებაც. 2011 წელს, ევროობლიგაციების განთავსების დროს, 500 მილიონი ლოლარი 830 მილიონი ლარის ტოლი იყო, თუმცა დღეს, 2021 წელს, მის დასაფარად თითქმის ორჯერ მეტი თანხაა საჭირო, კერძოდ, 1.71 მილიარდი ლარი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი სტატისტიკა, 2020 წელი

საქსტატის ანგარიშის მიხედვით ერთწლიანი კულტურების წარმოება 2020 წელს წინა წელთან შედარებით გაზრდილია. ხორბლის წარმოება 0.6%-ით გაიზარდა და 101.2 ათასი ტონა შეადგინა, სიმინდის წარმოება 27.0%-ით გაიზარდა (263.0 ათასი ტონა), კარტოფილის წარმოება გაიზარდა 10.8%-ით (215.7 ათასი ტონა), ბოსტნეულის წარმოება კი 11.8%-ით გაიზარდა (180.1 ათასი ტონა).

მიუხედავად აღნიშნული მაჩვენებლებისა, სოფლის მეურნეობის აქტივების მხოლოდ მცირე ნაწილია დღეს ათვისებული. ბოლო ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 2004 წლის დონით, კერძო საკუთრებაში რეგისტრირებულია სასოფლო მიწების 26,7%-ია. რაც შეეხება უახლეს მონაცემებს, მისი სტატისტიკის გამოქვეყნება 2024 წლამდე არ იგეგმება.



2021 წლის პირველ კვარტალში ექსპორტი 5,2%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი 2,4%-ით შემცირდა

2021 წლის I კვარტალში ექსპორტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5,2%-ით გაიზარდა და 820.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტის მაჩვენებელი 2,4%-ით შემცირდა და 1 952.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა 2020 წელთან შედარებით, იმ პერიოდში, როცა ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორი გაჩერების შედეგად ექსპორტის მაჩვენებლები მკვეთრად შემცირდა. ამ ფონზე კი 2021 წლის ექსპორტი მაჩვენებელი ვერ 2019 წლის დონეს გაუთანაბრდა.

რაც შეეხება იანვარ-მარტში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილს საქართველოს მთლიან ექსპორტში, უმსხვილესი სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ჩინეთი (109.8 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (109.5 მლნ. აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (104.6 მლნ. აშშ დოლარი) და მათი წილი ჯამში 76.7%-ია.

საქსტატის ანგარიშიდანვე ირკვევა, რომ 2021 წლის იანვარ-მარტში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა 158.8 მლნ აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 19.4%-ს შეადგენს.

მეორე ადგილს იკავებს მსუბუქი ავტომობილები 86.6 მლნ აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 10.5%), ხოლო მესამე ადგილზეა ფეროშენადნობები 83.7 მლნ აშშ დოლარით (10.2%).

საინტერესოა ქვეყნების ჯგუფების წილი იმპორტში: იანვარ-მარტში საქართველოს იმპორტში ევროკავშირის ქვეყნების წილი 22.6% იყო, დსთ-ის ქვეყნების წილი - 31.2%, დანარჩენი ქვეყნების წილმა კი 46.2% შეადგინა.

ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილი წლის პირველ სამ თვეში 71.5% იყო. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (343.3 მლნ აშშ დოლარი), რუსეთი (220.4 მლნ აშშ დოლარი) და ჩინეთი (182.8 მლნ აშშ დოლარი).

